ტესტი ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. „შუშანიკის წამებაში“ სპარსი კაცი ვარსქენს ურჩევს: *„ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაი იწრო არს“.*

რას ნიშნავს სიტყვები: *„დედათა ბუნებაი იწრო არს“*?

ა) ქალების ბუნება სათუთია.
ბ) ქალების ბუნება ცვალებადია.
გ) ქალების დარწმუნება ძნელია.
დ) ქალების დაყოლიება ადვილია.

(1) **2. „აბო თბილელის წამებაში“ აბო ამბობს:** *„მესმა მე წმიდისა სახარებისაგან თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ, ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ხვიმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაითა ჰნათობდეს ყოველთა...“ და აწ მე რაისათვის დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან?“*

რა მიზნით იმოწმებს აბო სახარების სიტყვებს?

ა) აფხაზეთის მთავარს თავისი გადაწყვეტილების სისწორე რომ დაუმტკიცოს.
ბ) განრისხებული სარკინოზების შურისძიებას როგორმე თავი რომ დააღწიოს.
გ) ნერსე ქართლის ერისთავს თავისი ურყევი ერთგულება რომ დაუდასტუროს.
დ) სტეფანოზ გურგენის ძის ერისმთავრობის აუცილებლობა რომ დაასაბუთოს.

(1) **3. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:** *„ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ... ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაითა“*.

მირიანის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?

ა) თვითნებობა.
ბ) მიამიტობა.
გ) სიმხდალე.
დ) სიფიცხე.

(1) **4. „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში ვკითხულობთ:** *„კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“.*

ავტორის აზრით, ვინ არის *„კარგი მიჯნური“*?

ა) ვინც სატრფოს განსაცდელისგან დაიხსნის.
ბ) ვინც სატრფოს ერთგულებას შეჰფიცავს.
გ) ვინც სატრფოსათვის თავსაც კი გაწირავს.
დ) ვინც სატრფოსათვის გმირობას ჩაიდენს.

(1) **5. გაიხსენეთ, რა მოიმოქმედა ტარიელმა მას შემდეგ, რაც ხვარაზმშას შვილი მოკლა?**

ა) თავდაცვის მიზნით ქალაქის გალავანთან ჯარი დააყენა.
ბ) თავის ქალაქში გამაგრდა და ერთგულ მეომრებს უხმო.
გ) მდევარს გაერიდა და ქვეყნიდან სასწრაფოდ გადაიხვეწა.
დ) მომხდარი ნესტანს შეატყობინა და შეხვედრა სთხოვა.

(1) **6. დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ვკითხულობთ:**

„მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მაღონებსა.
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?“

რას ნიშნავს *„ვინ მამიფონებსა“*?

ა) მოყვასთან ვინ შემარიგებს.
ბ) საფრთხეს ვინ ამარიდებს.
გ) სიბრძნეს ვინ მაზიარებს.
დ) შვებას ვინ მომგვრის.

(1) **7. სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ ვკითხულობთ:** „თქვა ლეონ: მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია“.

რის თქმა სურს ლეონს ამ სიტყვებით?

ა) მეფესთან სიახლოვე არაფრის მომცემია.
ბ) მეფესთან სიახლოვე სანატრელია.
გ) მეფესთან სიახლოვე სახიფათოა.
დ) მეფესთან სიახლოვე სიკეთის მომტანია.

(1) 8. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:

„უდაბურება, მჩუმარება, არარაობა
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ...“

ლირიკული გმირის რა განცდას გამოხატავს ეს ფრაზა?

ა) გაღიზიანებას.
ბ) გაცხარებას.
გ) მწუხარებას.
დ) შფოთვას.

(1) **9. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „საღამო გამოსალმებისა“ ვკითხულობთ:**

„შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა,
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა
და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!“

გაიხსენეთ, რა არის ის, რაც სიცოცხლეს ღვთაებრივი სხივით ამშვენებს?

ა) თანაგრძნობა.
ბ) სიკეთე.
გ) სიყვარული.
დ) ოცნება.

(1) **10. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „სულო ბოროტო“ ვკითხულობთ:**

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?“

ლირიკული გმირის რა მდგომარეობა არის გადმოცემული ამ სტროფში?

ა) ბედნიერ სიჭაბუკეს მისტირის.
ბ) ბოროტ ბედისწერას ემორჩილება.
გ) სულიერ წინამძღოლს ეძიებს.
დ) უკეთურ ძალას უპირისპირდება.

(1) 11. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „მგზავრის წერილები“: *„თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის... ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან „დიდი ჩინი“ მიუღიაო“.*

რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: *„თითქო... როზგქვეშ არის გატარებულიო“*?

ა) დამონებულ მდგომარეობას.

ბ) დამსახურებულ აღიარებას.

გ) მატერიალურ სიკეთეს.

დ) უსამართლო განაჩენს.

(1) **12. აკაკი წერეთლის პოემაში „გამზრდელი“ ვკითხულობთ:**

„მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
 მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს“.

რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ამ სტროფში?

ა) ალიტერაცია.
ბ) ალუზია.
გ) გაპიროვნება.
დ) მეტაფორა.

(1) **13. ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებში „ხევისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:** „დროშის თავი მათთვის სახუმრო არ იყო: მის წინაშე ნათქვამი სიტყვა ვეღარ გადაბრუნდებოდა, ყოველი მოხევე სიკვდილს ირჩევდა, მოშორდებოდა დედას, ძმას... გულის საყვარელსაც კი, მაგრამ ამ სათემო კავშირის ნიშნის წინ მიცემულს სიტყვას კი ვეღარ უღალატებდა“.

მოხევეთა რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?

ა) ერთმანეთის თანადგომა.

ბ) მოძმეთა პატივისცემა.

გ) სიცოცხლის სიყვარული.

დ) ფიცის ერთგულება.

(1) **14. ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ვკითხულობთ:**

„ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადურჩენია“.

რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი?

ა) ბუნება ადამიანებს უსამართლოდ ექცევა.
ბ) ბუნება ცოდვილებს სამართლიანად სჯის.
გ) სიკვდილი განურჩევლად ყველას ანადგურებს.
დ) სიკვდილი უკლებლივ ყველას თავზარს სცემს.

(1) **15. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:** „ცოტა ხნის წინათ იმ კუთხეში, სადაც კირილე იჯდა, რაღაც ლაპარაკი ატყდა, მაგრამ ისევ მალე მოსპეს. კირილე ისეთნაირად გამოიყურებოდა და ცმაცურობდა, თითქოს რაღაც სამიზეზოს ეძებდა, რომ ჩხუბი აეტეხა, ჩვეულებისამებრ“.

რაზე მიანიშნებს ავტორი მკითხველს სიტყვით: *„ჩვეულებისამებრ“*?

ა) კირილე ერთი შფოთისთავი კაცი იყო.
ბ) სიმთვრალეს მუდამ ჩხუბი მოსდევს.
გ) სტუმრები კირილეს პატივს სცემდნენ.
დ) ყველა კონფლიქტი უმიზეზოდ იწყება.

(1) **16. ნიკო ლორთქიფანიძე მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ წერს:** „ამით დამთავრდა თვალიდან ელის უეცარი გაქრობის ამბავი. საერთაშორისო ომის ნაგლეჯებისა და სამოქალაქო ბრძოლის მოვარდნილ კორიანტელში ვერ გაატანა ცხოვრების ნაპტკვენმა ბუმბულმა“.

გაიხსენეთ, რამ გამოიწვია საქართველოდან ელის უეცარი გაქრობა?

ა) ევროპის ქვეყნებში უზრუნველად ცხოვრების სურვილმა.
ბ) მამამისის სამოქალაქო ბრძოლის კორიანტელში ჩართვამ.
გ) ქვეყანაში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ.
დ) ქმართან შეუთავსებელმა იდეოლოგიურმა შეხედულებებმა.

(1) **17. პაოლო იაშვილი ლექსში „პოეზია“ წერს:**

„რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს...“

რა არის ამ მონაკვეთის სათქმელი?

ა) ლექსების წერა პოეტს ამქვეყნიურ ცოდვებს ჩამოაწერს.
ბ) პოეტი მთელ ცხოვრებას თავის შემოქმედებას სწირავს.
გ) პოეტის შემოქმედება ადამიანებს სიამოვნებას ანიჭებს.
დ) შემოქმედებითი ცხოვრება პოეტს ადამიანებს აშორებს.

(1) **18.** ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის ლექსიდან „ნინოწმინდის ღამე“:

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას“.

ამ სტროფის მიხედვით, სიყვარული:

ა) ზეცაში აღგამაღლებს.
ბ) თვითმკვლელად გაქცევს.
გ) მტერივით განადგურებს.
დ) სიამოვნებას განიჭებს.

(1) **19. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ალავერდობა“ ვკითხულობთ:** „შუადღეზე ცოცხალ სასაფლაოს ემსგავსება მოქეიფე ალავერდი, მოძრავი გამოთლილი ქვებით სავსეს“.

რად იქცა ალავერდობის დღესასწაული?

ა) მიცვალებულთა მოსახსენებელ დღედ.
ბ) უფუნქციოდ დარჩენილ დეკორაციად.
გ) ქვის ოსტატების უცნაურ გამოფენად.
დ) ძველებური დროსტარების ასლად.

(1) **20. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „იგი“ ძველი ბელადის სიკვდილით დასჯის შემდეგ მთავარი პერსონაჟი ფიქრობს:** „კიდევ კარგი, არავის შეუმჩნევია გამართული იგი, – უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში. – იგი ახლავე მოიხრება და ისეთი გახდება, როგორიც არიან სხვები. მაშინ აღარც მარტოობა ეტკინება და აღარც ცივი შიში აუჯაგრავს ბალანს“.

რას მიხვდა იგი?

ა) გამართული დგომა მარტოობის ტკივილს ამსუბუქებს.
ბ) თანამოძმეების უყურადღებობა ადამიანს გულს სტკენს.
გ) სხვებისაგან გამორჩეულობა ადამიანს საფრთხეს უქმნის.
დ) ძველი ბელადის დასჯა სიკვდილის შიშს ამძაფრებს.

(5) **21. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“ („დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“):**

1. **რამ აიძულა ავტორი საცხოვრებლად ლამისყანაში გადასულიყო?**
2. **რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** *„ხელ-ფეხს მომიდვეს გენია“*?
3. **რას უპირებდნენ ლეკები დავით გურამიშვილს, რის გამოც მან გაქცევა სცადა?**
4. **ვის მიენდო პოეტი წარუმატებელი გაქცევის შემდეგ?**
5. **რა მხატვრული საშუალებაა:** *„ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია“*?

(5) **22. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“:**

1. **რას მოელის ავტორი მათგან, ვინც საკუთარ თავში ლუარსაბთან მსგავსებას აღმოაჩენს?**
2. **ლუარსაბის რა თვისება ჩანს მის სიტყვებში:** *„მე თუ არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა“*?
3. **რის დასაბუთებას ცდილობს ლუარსაბი ბატონყმობაზე მსჯელობისას:** *„დიდი და პატარაობა სად არ არის?.. აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე – პატარა“*?
4. **როგორ აფასებს ავტორი ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებას ამ მონაკვეთის მიხედვით:** *„ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა...“*?
5. **რა მხატვრული საშუალებაა:** *„თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო“*?

(4) **23. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.**

1. **რას მოიაზრებს ავტორი კატის კნუტში, რომელიც ჯერ კატად, შემდეგ ვეფხვის ბოკვრად, ბოლოს კი წითელ ვეფხვად იქცა?**
2. **თეიმურაზ ხევისთავის რა განცდას გამოხატავს ფრაზა:** *„თაგვის სოროში სძვრებოდა“*?
3. როცა ჯაყომ თეიმურაზს ხევისთავთა საგვარეულო განძეულით სავსე სკივრის გატაცება შეატყობინა, *„მარგოს ეს ამბავი მეხივით დაეცა, თეიმურაზს კი გულს მოეშვა“.*

   ქმრისაგან განსხვავებით, რატომ ჰქონდა მარგოს ასეთი მძაფრი რეაქცია?
4. **რა მხატვრული საშუალებაა:** *„თეიმურაზიც, მისი ოჯახიც და საქმენიც ზეთგამოლეულ ჭრაქივით დაილივნენ და დადნენ“*?

(3) **24. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“:**

„ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა... ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.

1. ავტორის აზრით, რა არის კოსმოპოლიტიზმის არასწორი გაგება?

2. რა სჭირდება ერს, რომ განვითარების საკუთარი, ინდივიდუალური გზა შეინარჩუნოს?

3. რა მიმართებაა კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმს შორის?

(3) **25. ცნობილი საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში წერს:**

„როცა კაცი დასუსტდება და დაუძლურდება, ის სხვას შეჰყურებს და სხვისი იმედით სულდგმულობს, სხვას უყურებს თვალებში, ეგება მიშველოს რამეო...

ჩვენ, ქართველებს, სწორედ ამ დაუძლურებული და სასოებადაკარგული ადამიანის ელფერი დაგვედო. მოვიღალენით, თუ დავლაჩრდით, არ ვიცი, მხოლოდ ჩვენი თავისა აღარა გვჯერა...

უწინარეს ყოვლისა, აღვბეჭდოთ ჩვენს გონებაში ის აზრი, რომ, თუ ჩვენ თვითონ არ ვუშველეთ ჩვენს თავს, სხვისი იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან სიცოცხლის უფლება მხოლოდ იმას ენიჭება, ვისაც აქვს ცხოვრებისათვის საჭირო იარაღი – თავის თავის რწმენა და დამოუკიდებელი მოქმედების უნარი“.

1. პირველი აბზაცის მიხედვით, რის იმედად არის დასუსტებული და დაუძლურებული კაცი?

2. დაასახელეთ ქართველთა დაუძლურების ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი.

3. ავტორის აზრით, ვის ენიჭება *„სიცოცხლის უფლება“*?

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

(30) **26. ყურადღებით წაიკითხეთ ნიკო ლორთქიფანიძის „მონა“:**

ჯვარედინ გზაზე ისმის:

– გასწორდი წელში; ასწიე მაღლა, ამაყათ თავი; მოიღერე კისერი; თავისუფლება მიეც გულ-მკერდს – ჰსუნთქე მსუბუქი ჰაერი; ნუ ჩამოგიშვია ცხვირი; დაიჭირე მზის სხივები, მიაპყარ სმენა გალობას, დასტკბი ვარდთა ყნოსვით!

– მე მონა ვარ!..

– რა ვუყოთ! იბრძოლე! განთავისუფლდები...

– მე სუსტი ვარ...

– თავისუფლების სიყვარული მოგცემს მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს...

– არ მაქვს იმედი...

– არაფერია, ბრძოლაში იმედიც დაიბადება.

– მეშინია უარესის...

– მონობაზე უარესი რაღა იქნება?

– სიკვდილი... შიმშილი...

– მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა... ნაკლებათ საცოდავი, ვიდრე საზიზღარი.

ყურადღებით წაიკითხეთ უნგრელი პოეტის, შანდორ პეტეფის, ლექსი „მგლების სიმღერა“:

ცაში ტრიალებს ბუქი
ქარი გიჟივით დაქრის,
მოდის თოვლი და წვიმა –
ორი ტყუპი ძმა ზამთრის.

უდაბნოსა ჰგავს სტეპი,
ქარს აჰყოლია ზვავი,
ბუჩქიც არ არის არსად,
რომ შევაფარო თავი.

ფერდებს გვილეწავს სუსხი,
გვინგრევს შიმშილი მუცლებს,
ვერ გავექცევით ამ მტრებს,
ვიტანთ, ვღმუით და ვუძლებთ.

არის მესამე მტერიც:
თოფის ლულაზე ბოლი...
მოჩანს თეთრ თოვლზე ჩვენი
სისხლის წითელი ზოლი.

გვცივა, გვშია და ვუძლებთ,
ერთით ვჯობივართ მრავალთ:
ყმად არ ვეკუთვნით არვის,
თავისუფალნი დავალთ.

თარგმნა **გრიგოლ აბაშიძემ**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 150 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნიკო ლორთქიფანიძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ.
- იმსჯელეთ შანდორ პეტეფის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ.
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!